შეტყობინება სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესის აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის შესახებ

2024 წლის 23 ოქტომბერი

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესი (იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ფალიაშვილის ქ. #53. ბინა 2; საიდენტიფიკაციო ნომერი: 202340984) გატყობინებთ, რომ სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესის (შემდგომში - საზოგადოება) აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება ჩატარდება 2024 წლის 28 ოქტომბერს თბილისის დროით 12:00 საათზე, საზოგადოების იურიდიულ მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ფალიაშვილის ქ. #53. ბინა 2.

აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების სააღრიცხვო დღეა 2024 წლის 22 ოქტომბერი.

აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებიც სააღრიცხვო დღეს ირიცხებიან აქციონერებად.

აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების დღის წესრიგი:

1. **საზოგადოების** და **საზოგადოების** სარეგისტრაციო მონაცემების „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონთან (დოკუმენტის ნომერი: 875-Vრს-Xმპ) და საქართველოში მოქმედ სხვა კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორი რეკომენდაციას აძლევს აქციონერთა კრებას, მხარი დაუჭიროს აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების დღის წესრიგის 1-ელ პუნქტად გამოტანილ საკითხს.

2. **საზოგადოების** წესდების ახალი რედაქციის მიღება.

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორი რეკომენდაციას აძლევს აქციონერთა კრებას, მხარი დაუჭიროს აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების დღის წესრიგის მე-2 პუნქტად გამოტანილ საკითხს და მიიღოს წესდების ახალი რედაქცია თანდართული ტექსტის შესაბამისად.

3. **საზოგადოების** სადამფუძნებლო შეთანხმების გაფორმება, რომლის ნაწილიც იქნება **საზოგადოების** წესდების ახალი რედაქცია, მიღებული აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების დღის წესრიგის წინა მე-2 პუნქტის შესაბამისად.

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორი რეკომენდაციას აძლევს აქციონერთა კრებას, მხარი დაუჭიროს აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების დღის წესრიგის მე-3 პუნქტად გამოტანილ საკითხს და გაფორმდეს სადამფუძნებლო შეთანხმება თანდართული ტექსტის შესაბამისად.

4. **საზოგადოების** დირექტორისთვის, ქ-ნ ქეთევან დარსაძისთვის (პირადი ნომერი: 01010019286) სრული და შეუზღუდავი უფლებამოსილების მინიჭება, რათა მან, **საზოგადოების** და **აქციონერების** სახელით, ერთპიროვნულად და დამოუკიდებლად, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში (სამეწარმეო რეესტრი) დაარეგისტრიროს აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების დღის წესრიგის წინა 1-ელ - მე-3 პუნქტებად გამოტანილ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებები, მათ შორის, ერთპიროვნულად მოაწეროს ხელი და სამეწარმეო რეესტრში წარადგინოს **საზოგადოების** სადამფუძნებლო შეთანხმება და წესდების ახალი რედაქცია, აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრებაზე მიღებული ტექსტით, აგრეთვე, საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოიყვანოს **საზოგადოების** სხვა სარეგისტრაციო მონაცემები და აღმოფხვრას სარეგისტრაციო წარმოების პროცესში გამოვლენილი ყველა და ნებისმიერი ხარვეზი, ასეთის შემთხვევაში.

საზოგადოების *სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორი რეკომენდაციას აძლევს აქციონერთა კრებას, მხარი დაუჭიროს აქციონერთა რიგვარეშე საერთო კრების დღის წესრიგის მე-4 პუნქტად გამოტანილ საკითხს.*

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე _____ /ირაკლი მაჭავარიანი/

დირექტორი _____ /ქეთევან დარსაძე/

პროექტი

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესი
წესდება (ახალი რედაქცია)
2024 წ.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სააქციო საზოგადოება **მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესი** [შემდომში - საზოგადოება] არის „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი სამეწარმეო საზოგადოება (იურიდიული პირი), რომლის კაპიტალი დაყოფილია აქციებად.

2. სააქციო საზოგადოების სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით და ამ წესდებით. საკითხები, რომლებიც არ არის მოწესრიგებული ამ წესდებით, რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

3. საზოგადოების სამართლებრივი ფორმა - სააქციო საზოგადოება.

4. საზოგადოების სრული საფირმო დასახელება ქართულ ენაზე: სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესი.

5. საზოგადოების საფირმო სახელწოდება ინგლისურ ენაზე: JSC Microfinance Oganization Alpha Express.

6. საზოგადოება შექმნილია საქმიანობის ვადის შეზღუდვის გარეშე.

7. საზოგადოების იურიდიული მისამართია - საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ფალიაშვილის ქუჩა N53, ბინა #2.

8. ეს წესდება წარმოადგენს აქციონერთა შორის დადებული სადამფუძნებლო შეთანხმების ნაწილს, რომელიც გამოხატავს მათ ურთიერთთანმხვედრ ნებას და იგი სავალდებულო ძალის მქონეა აქციონერებისთვის. ამ წესდებით განსაზღვრული ნორმები სავალდებულოა არა მხოლოდ სააქციო საზოგადოების იმ დამფუძნებელთათვის, რომლებმაც ხელი მოაწერეს წესდებაზე, არამედ იმისთვისაც, ვინც მომავალში გახდება ამ სუბიექტის აქციონერი, მიუხედავად იმისა, რომ მას წესდებაზე ხელი არ მოუწერია.

9. პარტნიორთა შეთანხმება ემყარება სააქციო საზოგადოების აქციონერთა კეთილსინდისიერების, ურთიერთპატივისცემის, გადაწყვეტილების მართლზომიერად და გულისხმიერებით მიღების ზოგად პრინციპებს. აქციონერთა მიერ დაცულია მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული სამეწარმეო საქმიანობის ძირითადი პრინციპები.

10 სააქციო საზოგადოების მიზანია მართლზომიერი, არაერთჯერადი და დამოუკიდებელი სამეწარმეო საქმიანობის საფუძველზე მოგების მიღება. საზოგადოებას უფლება აქვს მოგების მიღების მიზნით განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი სამეწარმეო საქმიანობა. ამასთან, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით ლიცენზიას / ნებართვას / ავტორიზაციას დაქვემდებარებულ საქმიანობას საზოგადოება ახორციელებს მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის / ნებართვის / ავტორიზაციის საფუძველზე და პირობების შესაბამისად.

11. საზოგადოების საქმიანობის საგანს წარმოადგენს მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით ნებადართული და აუკრძალავი ყველა და ნებისმიერი საქმიანობის განხორციელება.

12. საზოგადოება თავისი მიზნების მისაღწევად ფლობს ქონებას, იძენს ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებებს და კისრულობს ვალდებულებებს, ასევე შეუძლია თავისი სახელით გამოვიდეს სამართლებრივ ურთიერთობებში, კანონის ფარგლებში დადოს გარიგებები როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, განსაზღვროს ამ გარიგების შინაარსი, დადოს ისეთი გარიგებები, რომლებიც კანონით არ არის გათვალისწინებული, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას, ასევე შეიძინოს ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები და იკისროს მოვალეობები, იყოს მოსარჩელე ან/და მოპასუხე სასამართლოში.

13. საზოგადოების პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით, რაც იმას ნიშნავს, რომ საზოგადოების ვალდებულებებისთვის მისი აქციონერები და ხელმძღვანელები პასუხს არ აგებენ. სააქციო საზოგადოება პასუხს არ აგებს აქციონერთა ვალდებულებებისთვის.

14. საზოგადოება თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. იგი თავად იღებს გადაწყვეტილებას მისთვის მნიშვნელოვან საკითხზე. საზოგადოება შედგება შესაბამისი ორგანოებისაგან, რომლებიც უზრუნველყოფენ მის მართვასა და წარმომადგენლობას. საზოგადოების მართვის ორგანოები და მათი უფლებამოსილებები განსაზღვრულია ამ წესდებით. ამასთან, აღნიშნული ორგანოები საქმიანობას ახორციელებენ მხოლოდ მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

15. საზოგადოებას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი. საზოგადოებას შეიძლება ჰქონდეს ანგარიში საქართველოში ან უცხოეთის ქვეყნების საბანკო დაწესებულებებში, ელექტრონული შტამპი ან ბეჭედი, ბლანკი და ემბლემა. საზოგადოებას უფლება აქვს გახსნას შესაბამისი ანგარიშები ნებისმიერ ბანკში როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში.

16. სააქციო საზოგადოებას უფლება აქვს, დადგენილი წესის მიხედვით, გახსნას თავისი საწარმოები, ფილიალები და წარმომადგენლობები როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ, ასევე მონაწილეობა მიიღოს სხვა ორგანიზაციებისა და წარმოებების შექმნაში. საზოგადოება უფლებამოსილია გაერთიანდეს სხვადასხვა სახის გაერთიანებებში.

მუხლი 2. საზოგადოების აქციონერები და მათი უფლებები-მოვალეობები

1. სააქციო საზოგადოების პარტნიორი არის პირი, რომელიც სააქციო საზოგადოების აქციების მესაკუთრეა (აქციონერი). საზოგადოების აქციონერი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი, აგრეთვე იურიდიული პირის სტატუსის არმქონე, რეგისტრირებული, დამოუკიდებელი ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელსაც შეუძლია საკუთარი სახელით შეიძინოს უფლებები და აიღოს ვალდებულებები.

2. აქციონერის საკუთრების უფლება აქციაზე დასტურდება აქციათა რეესტრში ჩანაწერით ან ნომინალური მფლობელის ჩანაწერით. აქციონერს უნდა მიეცეს ამონაწერი აქციათა რეესტრიდან ან ნომინალური მფლობელის ამონაწერი.

3. თუ სააქციო საზოგადოებაში აქციონერთა ოდენობა ორმოცდაათზე მეტია, სააქციო საზოგადოება ვალდებულია აქციათა რეესტრი დამოუკიდებელი რეგისტრატორის მეშვეობით აწარმოოს, ხოლო, თუ აქციონერთა ოდენობა ორმოცდაათს არ აღემატება, საზოგადობას შეუძლია აწარმოოს აქციათა რეესტრი თვითონ ან დამოუკიდებელი რეგისტრატორის მეშვეობით, გარდა „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ანგარიშვალდებული საწარმოსი, რომლის აქციათა რეესტრს აწარმოებს დამოუკიდებელი რეგისტრატორი. აქციათა რეესტრის წარმოებასა და ამონაწერის გაცემაზე პასუხისმგებელია აქციათა რეესტრის წარმოებაზე უფლებამოსილი პირი/ორგანო.

4. სააქციო საზოგადოების აქციონერებს აქვთ და ეკისრებათ ამ წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებები და ვალდებულებები.

5. თავისი უფლებებით სარგებლობისას, აქციონერმა მხედველობაში უნდა მიიღოს სააქციო საზოგადოებისა და დანარჩენ აქციონერთა კანონიერი ინტერესები და უფლებები. საზოგადოების აქციონერი საზოგადოების ვალდებულებისთვის კრედიტორის წინაშე პასუხს არ აგებს. გამონაკლის შემთხვევაში, საზოგადოების აქციონერი საზოგადოების კრედიტორის წინაშე პასუხს აგებს პირადად, თუ ის პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმას ბოროტად იყენებს და საზოგადოებას არ შეუძლია კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

6. თანაბარ პირობებში აქციონერებს თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვთ. ამ პრინციპიდან გამონაკლისი მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიშვება, თუ ეს კანონით ან ამ წესდებით არის პირდაპირ გათვალისწინებული და აუცილებელია, სააქციო საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე.

7. აქციის გადაცემის შესახებ შეთანხმება წერილობით უნდა გაფორმდეს. აქციონერი ვალდებულია აქციის გადაცემის შესახებ შეთანხმების გაფორმებისთანავე აცნობოს ამის თაობაზე სააქციო საზოგადოებას.

8. აქციონერს უფლება აქვს სააქციო საზოგადოებას კანონით დადგენილი წესით მოსთხოვოს თავისი აქციების შეფასება და გამოსყიდვა, თუ მან საერთო კრებაზე მხარი არ დაუჭირა ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც გაუმართლებლად და არსებითად ლახავს ამ აქციონერის უფლებებს ან ეხება სააქციო საზოგადოების რეორგანიზაციას.

9. აქციონერებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სააქციო საზოგადოების მართვაში ამ წესდებითა და კანონმდებლობით განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

10. ერთ ან რამდენიმე აქციონერს უფლება აქვს შეიტანოს სარჩელი საკუთარი სახელით და სააქციო საზოგადოების სასარგებლოდ სააქციო საზოგადოების კუთვნილი მოთხოვნის განსახორციელებლად, მათ შორის, სააქციო საზოგადოების თანამდებობის პირთა წინააღმდეგ, მათ მიერ საკუთარი მოვალეობების შეუსრულებლობით სააქციო საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ან მიყენებული ზიანის ანაზღაურების სანაცვლოდ მიღებული სარგებლის სააქციო საზოგადოებისთვის გადაცემის ან ამგვარი სარგებლის მიღების უფლების დათმობის მოთხოვნით.

11. სააქციო საზოგადოებაში დივიდენდის გაცემის ზოგადი აკრძალვა დაუშვებელია.

12. დაუშვებელია გაცემული დივიდენდის დაბრუნების მოთხოვნა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დივიდენდის მიმღებმა პარტნიორმა მისი მიღებისას იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ დივიდენდის განაწილებისას დაირღვა კანონით ან ამ წესდებით დადგენილი ნორმები. სააქციო საზოგადოებას უფლება არ აქვს გასცეს დივიდენდი, თუ ეს საზოგადოების გადახდისუუნარობას გამოიწვევს.

13. აქციონერს უფლება აქვს:

ა) მონაწილეობა მიიღოს საერთო კრებაში;

ბ) გაეცნოს საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს;

გ) კანონითა და წესდებით დადგენილი წესით გაეცნოს სააქციო საზოგადოების დოკუმენტებს და მიიღოს მათი ასლები ბეჭდური ფორმით ან ელექტრონულად, თუ აქციონერს წინასწარ აქვს განცხადებული თანხმობა ინფორმაციის ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით მიღებაზე;

დ) მიიღოს დივიდენდი;

ე) თავისუფლად განკარგოს თავის საკუთრებაში არსებული აქციები;

ვ) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში სააქციო საზოგადოებას მოსთხოვოს თავის საკუთრებაში არსებული აქციების გამოსყიდვა;

ზ) მიიღოს ნარჩენი ქონება სააქციო საზოგადოების ლიკვიდაციის შედეგად;

თ) განახორციელოს კანონით ან, კანონიდან გამომდინარე, ამ წესდებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები.

13. აქციონერს უფლება აქვს თავისუფლად განკარგოს თავის მფლობელობაში არსებული აქციები სააქციო საზოგადოების ან სხვა აქციონერების თანხმობის გარეშე, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

14. ხმათა 5 პროცენტის მფლობელ აქციონერებს, ამ მუხლით გათვალისწინებული უფლებების გარდა, უფლება აქვთ:

ა) სააქციო საზოგადოების შესაბამის ხელმძღვანელ ორგანოს მოსთხოვონ სააქციო საზოგადოების სახელით დადებული გარიგებების ასლები. სააქციო საზოგადოების შესაბამისი ორგანო უფლებამოსილია, სააქციო საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, უარი განაცხადოს ამ ასლების/ინფორმაციის გაცემაზე;

ბ) მოითხოვონ სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს რიგგარეშე სხდომის ჩატარება;

გ) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოიწვიონ რიგგარეშე საერთო კრება;

დ) მოითხოვონ საერთო კრების დღის წესრიგში საკითხის დამატება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

15. აქციების, სულ მცირე, 5 პროცენტის მფლობელი აქციონერების მიმართვისა და საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე სააქციო საზოგადოება ვალდებულია განახორციელოს სააქციო საზოგადოების სამეურნეო მოქმედების ან წლიური ფინანსური ანგარიშგების სპეციალური შემოწმება, თუ ის კანონით არ ექვემდებარება სავალდებულო აუდიტს, რისთვისაც იგი ნიშნავს სპეციალურ აუდიტორს. აქციონერს, რომლის ინტერესსაც ეხება სააქციო საზოგადოების სამეურნეო მოქმედების სპეციალური შემოწმება, ხმის უფლება არ აქვს.

16. აქციონერი ვალდებულია:

ა) განახორციელოს შენატანი კუთვნილი აქციის მისაღებად;

ბ) სააქციო საზოგადოებას ან აქციათა რეგისტრატორს მიაწოდოს ინფორმაცია მასთან დაკავშირებული ნებისმიერი იმ მონაცემის ცვლილების შესახებ, რომელიც რეგისტრირებულია აქციათა რეესტრში;

გ) შეასრულოს სხვა მოვალეობები, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით ან/და ამ წესდებით.

მუხლი 3. სააქციო საზოგადოების აქციონერების მიერ ინფორმაციის მიღებისა და დოკუმენტაციის გაცნობის უფლება

1. ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია ნებისმიერ აქციონერს მოთხოვნისთანავე, გონივრულ ვადაში მიაწოდოს ინფორმაცია სააქციო საზოგადოების საქმიანობის შესახებ და მისცეს სააქციო საზოგადოების დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება.

2. საერთო კრების მონაწილე ყველა აქციონერს უფლება აქვს საერთო კრების მიმდინარეობისას, კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით, სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს/პირებს დაუსვას შეკითხვები და მოსთხოვოს ამ საკითხების სათანადოდ განხილვისა და შეფასებისთვის აუცილებელი ნებისმიერი ინფორმაცია.

3. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია აქციონერის შეკითხვებს უპასუხოს და მას მოთხოვნილი ინფორმაცია სრულად მიაწოდოს.

4. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს უფლება აქვს აქციონერს უარი უთხრას მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდებაზე, თუ:

ა) შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებამ სააქციო საზოგადოებას შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს;

ბ) შესაბამისი ინფორმაციის გაცემით კონფიდენციალური ინფორმაცია გამჟღავნდება;

გ) დასმულ შეკითხვას პასუხი საერთო კრების დაწყებამდე და მისი მიმდინარეობისას სააქციო საზოგადოების ვებგვერდზე კითხვა-პასუხის ფორმატით აქვს გაცემული.

5. ინფორმაციის მიწოდებაზე სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს უარი შეიძლება საერთო კრების ოქმის შედგენიდან 15 დღის ვადაში გასაჩივრდეს სასამართლოში. თუ სასამართლო დააკმაყოფილებს აქციონერის მოთხოვნას, აქციონერს მოთხოვნილი ინფორმაცია საერთო კრების გარეშეც მიეწოდება. სააქციო საზოგადოებამ იგივე ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა გახადოს ყველა სხვა დაინტერესებული აქციონერისთვის.

6. თუ საერთო კრების დაწყებამდე სააქციო საზოგადოებამ თავისი ინიციატივით რომელიმე აქციონერს, აქციონერის სტატუსიდან გამომდინარე, მიაწოდა ინფორმაცია, იგივე ინფორმაცია უნდა მიეწოდოს საერთო კრების მონაწილე ყველა სხვა აქციონერს, იმ შემთხვევაშიც, თუ ეს ინფორმაცია საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განსახილველად აუცილებელი არ არის.

მუხლი 4. სააქციო საზოგადოების პარტნიორის მიერ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება

1. დომინანტ აქციონერად მიიჩნევა აქციონერი ან ერთად მოქმედ აქციონერთა ჯგუფი, რომელსაც აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, გადამწყვეტი გავლენა მოახდინოს საერთო კრებაზე ჩატარებული კენჭისყრის შედეგზე. ეს აქციონერი/აქციონერთა ჯგუფი ვალდებულია, სააქციო საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის გარდა, აანაზღაუროს აგრეთვე აქციონერისთვის მიყენებული ზიანი, გარდა იმ ზიანისა, რომელიც მას მიადგა სააქციო საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანიდან გამომდინარე, მათ შორის, მისი აქციების ღირებულების შემცირებით.

2. თუ სააქციო საზოგადოების დომინანტმა აქციონერმა თავისი დომინანტური მდგომარეობა განზრახ გამოიყენა სააქციო საზოგადოების საზიანოდ, მან უნდა აანაზღაუროს მიყენებული ზიანი.

3. პირი, რომელიც განზრახ იყენებდა თავის ძალაუფლებას სააქციო საზოგადოების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ზემოქმედებას ახდენდა სააქციო საზოგადოების მმართველი ორგანოს წევრზე, რათა ამ წევრს სააქციო საზოგადოების საწინააღმდეგო ისეთი ქმედება ჩაედინა, რომელმაც ზიანი გამოიწვია, ვალდებულია სააქციო საზოგადოებას აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი. აღნიშნული პირი ვალდებულია, სააქციო საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის გარდა, აანაზღაუროს აგრეთვე აქციონერისთვის მიყენებული ზიანი, გარდა იმ ზიანისა, რომელიც მას მიადგა

სააქციო საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანიდან გამომდინარე, მათ შორის, მისი აქციების ღირებულების შემცირებით.

4. სააქციო საზოგადოების მმართველი ორგანოს წევრი, რომელმაც არ შეასრულა მოვალეობა, პასუხს აგებს სოლიდარულად, ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ პირთან ერთად. სამეთვალყურეო საბჭოს ან ხელმძღვანელი ორგანოს მიერ ამ ქმედების მოწონება საზოგადოების მმართველი ორგანოს წევრს არ ათავისუფლებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან. ხელმძღვანელი პირი ვალდებული არ არის აანაზღაუროს ზიანი, თუ მისი ქმედება კანონის შესაბამისად მიღებულ საერთო კრების გადაწყვეტილებას ეფუძნებოდა.

5. სააქციო საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანისთვის სოლიდარულად აგებს პასუხს ის პირიც, რომელმაც ზიანის გამომწვევი ქმედების შედეგად სარგებელი მიიღო და განზრახ მოახდინა ზემოქმედება ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ პირზე.

6. კრედიტორისთვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ უქმდება სააქციო საზოგადოების მიერ შესაბამის მოთხოვნებზე უარის თქმით ან იმაზე მითითებით, რომ ზიანის გამომწვევი ქმედება საერთო კრების გადაწყვეტილებას ეფუძნებოდა.

მუხლი 5. შენატანი

1. შენატანი არის სააქციო საზოგადოებისთვის საკუთრებაში გადაცემული ქონება, რომლის ეკონომიკური ღირებულება აისახება საზოგადოების ბალანსში.

2. სააქციო საზოგადოების კაპიტალში შენატანის შეტანის განხორციელების ვალდებულება შეიძლება შესრულდეს მხოლოდ ფულის გადახდით (ფულადი შენატანი).

3. ფულადი შენატანი განხორციელებულად ითვლება სააქციო საზოგადოების მიერ გახსნილ საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის მომენტიდან.

4. პარტნიორის მოთხოვნისას, ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილმა ორგანომ უნდა გასცეს წერილობითი ცნობა შენატანის განხორციელების ვალდებულების, მისი შესრულების ან ნაწილობრივი შესრულების, ასევე შესრულების ვადებისა და პირობების შესახებ.

5. შენატანის განხორციელების ცნობის ბრალეულ უზუსტობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ ორგანოს.

6. დაუშვებელია აქციონერის გათავისუფლება შენატანის შეტანის ვალდებულებისაგან, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა.

მუხლი 6. კაპიტალი

1. საზოგადოებას აქვს ნებადართული და განთავსებული კაპიტალი.

2. საზოგადოების ნებადართული და განთავსებული კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება სადამფუძნებლო შეთანხმებით.

3. საზოგადოების მიერ განთავსებულია ჩვეულებრივი კლასის აქციები ერთნაირი ნომინალური ღირებულებით - 100 (ასი) ლარი, 33200 ცალის ოდენობით.

3. სააქციო საზოგადოების განთავსებული კაპიტალი უნდა გამოისახოს ეროვნულ ვალუტაში.

4. თუ სააქციო საზოგადოებას აქვს მხოლოდ ნომინალური ღირებულების აქციები, განთავსებული კაპიტალის ოდენობა უნდა შეადგენდეს ნომინალური ღირებულების აქციათა ჯამს. იმ შემთხვევაში, თუ სააქციო საზოგადოებას განთავსებული აქვს როგორც ნომინალური ღირებულების მქონე, ასევე ნომინალური ღირებულების არმქონე აქციები, განთავსებული კაპიტალის ოდენობა უნდა აღემატეობოდეს ნომინალური ღირებულების მქონე აქციათა ჯამს. იმ შემთხვევაში, თუ სააქციო საზოგადოებას განთავსებული აქვს მხოლოდ ნომინალური ღირებულების არმქონე აქციები, განთავსებული კაპიტალის ოდენობა უნდა შეადგენდეს, სულ მცირე, ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ ოდენობას.

5. კაპიტალის გაზრდა შესაძლებელია სააქციო საზოგადოების დამატებითი აქციების გამოშვებით, რომელიც უნდა განხორციელდეს კანონმდებლობითა და ამ წესდებით დადგენილი წესით. დამატებითი აქციების გამოშვებით კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრება კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების არანაკლებ 3/4-ით.

6. სააქციო საზოგადოების კაპიტალის გაზრდისას აქციონერმა შენატანი უნდა განახორციელოს სააქციო საზოგადოების კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილებაში მითითებულ ვადაში, რომელი ვადაც, ნებისმიერ შემთხვევაში, არ უნდა აღემატებოდეს 5 წელს კაპიტალის გაზრდის მომენტიდან.

7. განთავსებული კაპიტალის ოდენობა აღინიშნება საზოგადოების ბალანსში.

8. სულ მცირე წელიწადში ერთხელ, სააქციო საზოგადოების განთავსებული კაპიტალის ოდენობა ექვემდებარება გამოქვეყნებას.

9. სააქციო საზოგადოების განთავსებული კაპიტალის ცვლილება ხორციელდება კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად.

მუხლი 7. აქცია/აქციის კლასი

1. აქცია არის რეგისტრირებული, დემატერიალიზებული, სახელობითი ფასიანი ქაღალდი, რომელიც განსაზღვრავს სააქციო საზოგადოების კაპიტალში პირის მონაწილეობას.

2. აქციის ნომინალური ღირებულება განისაზღვრება სადამფუძნებლო შეთანხმებით. სააქციო საზოგადოებას შეუძლია გასცეს აქცია ნომინალური ღირებულების გარეშეც.

3. ერთი კლასის ყველა აქციის ნომინალური ღირებულება უნდა იყოს ერთი და იგივე. ერთი კლასის აქციები მათ მფლობელებს თანაბარი უფლებებით აღჭურავკლასების.

4. აქცია შეიძლება იყოს ჩვეულებრივი ან/და პრივილეგირებული კლასის. ერთი ჩვეულებრივი აქცია უზრუნველყოფს ერთი ხმის უფლებას საერთო კრებაზე. პრივილეგირებული აქცია არ უზრუნველყოფს ხმის უფლებას, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. პრივილეგირებულ აქციათა ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს განთავსებული აქციების ოდენობის ნახევარს.

5. აქციათა კლასები განისაზღვრება სადამფუძნებლო შეთანხმებით.

6. პრივილეგირებული აქცია მის მფლობელს აძლევს აქციონერთა გადაწყვეტილებით დადგენილ უპირატესობას დივიდენდის განაკვეთის და მიღების რიგითობის მხრივ. იგივე უპირატესობა მოქმედებს დაშლილი საზოგადოების ქონების აქციონერთა შორის განაწილებისას.

7. სააქციო საზოგადოებას შეუძლია კანონით დადგენილი წესით გამოუშვას აქციად კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდი.

მუხლი 8. სააქციო საზოგადოების მმართველი ორგანოები

1. სააქციო საზოგადოების ორგანოებია:

ა) საერთო კრება;

ბ) სამეთვალყურეო საბჭო;

გ) ხელმძღვანელი ორგანო (ხელმძღვანელი პირი) - დირექტორი.

2. სააქციო საზოგადოების ორგანოები და მათი წევრები ახორციელებენ საქმიანობას და იღებენ გადაწყვეტილებებს მხოლოდ კანონით ან/და ამ წესდებით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 9. საერთო კრება

1. საერთო კრება მიმდინარეობს კანონითა და ამ წესდებით დადგენილი წესით.

2. კანონით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევების გარდა, საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება აქვს სააქციო საზოგადოების ყველა აქციონერს.

3. თუ სააქციო საზოგადოებას ერთადერთი აქციონერი ჰყავს, აქციონერთა კრების უფლებამოსილებას ის ახორციელებს. ამგვარი უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება წერილობით ფორმდება.

3. აქციონერთა კრების მოწვევის კანონით ან/და ამ წესდებით დადგენილი წესის დარღვევის შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღება დასაშვებია, თუკი კრებას ყველა აქციონერი ესწრება და ყველა მათგანი თანახმაა კრების ჩატარებასა და გადაწყვეტილებების მიღებაზე. თანხმობად ჩაითვლება, თუკი აქციონერის მხრიდან არ იქნება გაცხადებული მოთხოვნა კრების სხვა დროს გამართვის შესახებ მისი მოწვევის პროცედურის დარღვევის გამო.

4. საერთო კრების სათანადოდ მოწვევისა და ჩატარებისთვის პასუხისმგებელია ამ კრების მომწვევი ორგანო.

5. საერთო კრების მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების შესრულება სავალდებულოა სააქციო საზოგადოების აქციონერებისა და ორგანოებისთვის.

6. საერთო კრება მოიწვევა კანონით და ამ წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

7. სააქციო საზოგადოების წლიური საერთო კრება ტარდება სამეურნეო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვისა. საზოგადოების აქციონერთა წლიური საერთო კრების გარდა ჩასატარებელი ყველა სხვა საერთო კრება წარმოადგენს საზოგადოების აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრებას.

8. საერთო კრება მოიწვევა ხელმძღვანელი ორგანოს ან/და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

9. თუ ხელმძღვანელი ორგანო არ ასრულებს თავის მოვალეობას და არ იწვევს საერთო კრებას, სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია მოიწვიოს საერთო კრება.

10. გადაწყვეტილება კრების მოწვევის შესახებ მიიღება კენჭისყრაში მონაწილე ხმათა უმრავლესობით, რის შესახებაც დგება სხდომის ოქმი. სხდომის ოქმში უნდა აღინიშნოს, არის თუ არა საერთო კრება მოწვეული აქციონერთა ინიციატივით.

11. აუცილებლობის შემთხვევაში სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია კაპიტალის, სულ მცირე, 5 პროცენტის მფლობელი აქციონერის/აქციონერების (აქციონერთა ჯგუფის) წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, ამ მოთხოვნის მიღებიდან 10 დღის ვადაში გამოაქვეყნოს გადაწყვეტილება საერთო კრების მოწვევის შესახებ.

12. საერთო კრების მოწვევის შესახებ აქციონერის/აქციონერების წერილობით მოთხოვნაში მითითებული უნდა იყოს საერთო კრების მოწვევის აუცილებლობა, მიზანი და მიზეზი, აგრეთვე მისი დღის წესრიგი, რომელშიც ასახულია აქციონერის/აქციონერების მიერ მოთხოვნილი ყველა საკითხი. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს უფლება აქვს საერთო კრების დღის წესრიგში დაამატოს საკითხები.

13. თუ საერთო კრების მოწვევის შესახებ აქციონერების მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, აღნიშნულ აქციონერთა განცხადების საფუძველზე სასამართლოს შეუძლია განმცხადებელ აქციონერებს მიანიჭოს საერთო კრების მოწვევის უფლებამოსილება და დანიშნოს საერთო კრების თავმჯდომარე.

14. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია საერთო კრება მოიწვიოს კანონმდებლობითა და ამ წესდებით დადგენილი წესით და გადაწყვიტოს საერთო კრების ჩატარებისთვის აუცილებელი ყველა ორგანიზაციული საკითხი.

15. საერთო კრების მოწვევის შესახებ გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს მარეგისტრირებელი ორგანოს ელექტრონული პორტალის სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე საერთო კრების ჩატარების თარიღამდე, სულ მცირე, 21

დღით ადრე. გადაწყვეტილება კრების მოწვევის შესახებ ქვეყნდება აგრეთვე სააქციო საზოგადოების ვებგვერდზე.

16. ყოველი მომდევნო საერთო კრება შეიძლება მოწვეულ იქნეს ამ მუხლის მე-15 პუნქტით განსაზღვრულ მინიმალურ ვადაზე ადრე, თუ საერთო კრება მოიწვევა პირველი საერთო კრების მოწვევისთვის მოთხოვნილი კვორუმის არარსებობის გამო, პირველი საერთო კრება მოწვეულ იქნა კანონმდებლობით დადგენილი წესით და მის დღის წესრიგში დამატებული არ არის საკითხი. ამ შემთხვევაში ბოლო საერთო კრებისა და მომდევნო საერთო კრების თარიღებს შორის, სულ მცირე, 10-დღიანი შუალედი უნდა იყოს.

17. საერთო კრების მოწვევის შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაციის სისწორისა და მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს ან/და სამეთვალყურეო საბჭოს.

18. საერთო კრების მოწვევის შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, შემდეგ მონაცემებს:

ა) სააქციო საზოგადოების საფირმო სახელწოდებასა და იურიდიულ მისამართს;

ბ) საერთო კრების ჩატარების თარიღს, ადგილსა და დროს;

გ) აღნიშვნას, მორიგი საერთო კრება ტარდება თუ რიგგარეშე;

დ) საერთო კრების სააღრიცხვო დღეს და მითითებას, რომ საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც სააღრიცხვო დღეს აქციონერებად ირიცხებიან;

ე) საერთო კრების დღის წესრიგს;

ვ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ინფორმაციას (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში).

19. საერთო კრების დღის წესრიგის მასალები უნდა შეიცავდეს გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ყველა ინფორმაციას.

20. თუ საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულია წესდების ახალი რედაქციის მიღება, წესდების ახალი რედაქცია უნდა გამოქვეყნდეს საერთო კრების მოწვევის შესახებ ინფორმაციასთან ერთად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დოკუმენტაცია ყველა აქციონერს პირადად ეგზავნება.

21. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო და სამეთვალყურეო საბჭო ვალდებული არიან ელექტრონული პორტალის სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე გამოაქვეყნონ საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე მათ მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები და მიუთითონ ამ გადაწყვეტილებების საფუძვლები.

22. კაპიტალის, სულ მცირე, 5 პროცენტის მფლობელ აქციონერს/აქციონერთა ჯგუფს უფლება აქვს საერთო კრების ჩატარების თარიღამდე 14 დღით ადრე წერილობით მიმართოს სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს და:

ა) მოითხოვოს საერთო კრების დღის წესრიგში საკითხების დამატება და თითოეულ საკითხს დაურთოს შესაბამისი დასაბუთება ან მისაღები გადაწყვეტილების პროექტი;

ბ) წარადგინოს საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ ან გასათვალისწინებელ საკითხებზე მისაღები გადაწყვეტილებების პროექტები და დასაბუთება.

23. თუ ამ მუხლის 22-ე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა იწვევს საერთო კრების იმ დღის წესრიგში ცვლილების შეტანას, რომელიც უკვე მიეწოდა აქციონერებს, სააქციო საზოგადოება ვალდებულია აქციონერებს საერთო კრების სააღრიცხვო დღემდე მიაწოდოს განახლებული დღის წესრიგი ამ მუხლის მე-16 პუნქტით დადგენილი წესით. თუ საერთო კრების განახლებული დღის წესრიგის აქციონერებისთვის მიწოდების ვალდებულება სააღრიცხვო დღის შემდეგ წარმოიშობა, იგი მიწოდებული უნდა იქნეს საერთო კრების ჩატარებამდე გონივრული ვადით ადრე, რათა აქციონერებს საშუალება ჰქონდეთ, დანიშნონ წარმომადგენლები ან ხმა მისცენ წერილობით.

24. ხმის უფლების მქონე აქციათა, სულ მცირე, 5 პროცენტის მფლობელ აქციონერს/აქციონერთა ჯგუფს უფლება აქვს წარადგინოს სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრად ასარჩევ პირთა კანდიდატურები, თუ იგი რიგგარეშე საერთო კრების ჩატარების დღემდე, სულ მცირე, 14 დღით ადრე წარუდგენს სათანადო განცხადებას/წინადადებას ხელმძღვანელ ორგანოს. ეს წინადადება უნდა შეიცავდეს აღნიშნული კანდიდატებისთვის კანონით დადგენილ საიდენტიფიკაციო მონაცემებს.

25. ხმის უფლების მქონე აქციათა, სულ მცირე, 5 პროცენტის მფლობელი აქციონერის/აქციონერთა ჯგუფის მიერ საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრად ასარჩევ პირთა კანდიდატურების წარდგენის უფლების გამოყენებისას საერთო კრების დღის წესრიგში შესატანი საკითხების დამატების და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების წესი რეგულირდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

26. საერთო კრების დღის წესრიგში საკითხის შეტანის შესახებ აქციონერთა განცხადებაზე სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს უარი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში. სასამართლოს შეუძლია განმცხადებელ აქციონერებს მიანიჭოს შესაბამისი ინფორმაციის გამოქვეყნებით დღის წესრიგში საკითხის დამატების უფლებამოსილება. შესაბამისი სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლოს ხარჯები ეკისრება სააქციო საზოგადოებას.

27. საერთო კრების დღის წესრიგი საერთო კრებაზე შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ კრებას ყველა აქციონერი ესწრება. საერთო კრების დღის წესრიგში აღნიშნული მოთხოვნის დარღვევით შეტანილ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილება ბათილია.

28. საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებსაც საერთო კრების სააღრიცხვო დღისთვის აქციებზე საკუთრების უფლება ჰქონდათ.

29. საერთო კრების სააღრიცხვო დღე არ უნდა იყოს საერთო კრების ჩატარების თარიღამდე 30 დღით ადრე. ამ მუხლის მე-15 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საერთო კრების მოწვევის თარიღსა და სააღრიცხვო დღეს/თარიღს შორის უნდა იყოს არანაკლებ 6 დღე.

30. საერთო კრებაში მონაწილეობის უფლების მქონე პირთა სია უნდა შეიცავდეს უფლებამოსილი პირების იდენტიფიკაციისთვის აუცილებელ მონაცემებს, აქციათა და პარტნიორთა კატეგორიას, ხმათა რაოდენობასა და მისამართს, რომელზეც უნდა გაიგზავნოს შეტყობინება კრების მონაწილეთა სიაში შეყვანის შესახებ.

31. აქციონერს უფლება აქვს სააქციო საზოგადოებას მოსთხოვოს საერთო კრების მონაწილეთა სიაში შეყვანის, მისი კუთვნილი აქციებისა და ხმების რაოდენობის დადასტურების გაცემა. აქციონერის ამ მოთხოვნის შეუსრულებლობა საერთო კრების მოწვევის პროცედურის არსებით დარღვევად მიიჩნევა. აქციონერის სტატუსის დადასტურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ აქციონერის იდენტიფიცირებისთვის და მხოლოდ იმ ფარგლებში, რაც პროპორციულია ამ მიზნის მისაღწევად.

32. აქციონერის უფლება, გაყიდოს ან სხვაგვარად გაასხვისოს თავისი აქცია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სააღრიცხვო თარიღს/დღეს და საერთო კრების მოწვევის თარიღს შორის პერიოდში, არ შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ შეზღუდვას, რომელიც, ჩვეულებრივ, არ იმოქმედებდა მის მიმართ.

33. საერთო კრების მონაწილეთა სიის სისწორისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება საერთო კრების მომწვევ ორგანოს.

34. რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის ინიციატორი შეიძლება იყოს ხელმძღვანელი ორგანო - დირექტორი; სამეთვალყურეო საბჭო; აქციონერი/აქციონერები, რომლებიც ფლობენ კაპიტალის არანაკლებ 5%-ს.

მუხლი 10. საერთო კრების ჩატარება

1. აქციონერს საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლების განხორციელება შეუძლია როგორც პირადად, ისე წარმომადგენლის მეშვეობით.

2. წარმომადგენლის დანიშვნა და წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ შეტყობინება ხდება წერილობით ან ელექტრონულად. ამასთან, თუ საზოგადოება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ანგარიშვალდებული საწარმოა, რომლის ფასიანი ქაღალდები სავაჭროდ არის დაშვებული საფონდო ბირჟაზე, აქციონერებს თავად ან მესამე პირის მეშვეობით უნდა შესთავაზოს შეტყობინების, სულ მცირე, ერთი ეფექტიანი ელექტრონული საშუალება. აღნიშნული წესი ვრცელდება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტაზეც.

3. ხელმძღვანელ პირსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრს არ აქვთ უფლება, საერთო კრებაში მონაწილეობა მიიღონ, როგორც აქციონერთა წარმომადგენლებმა.

4. დაუშვებელია აქციონერის უფლებების წარმომადგენლის მეშვეობით განხორციელების შეზღუდვა, გარდა წარმომადგენელსა და იმ აქციონერს შორის პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევისა, რომლის სახელითაც უნდა იმოქმედოს წარმომადგენელმა.

5. წარმომადგენელმა ხმა უნდა მისცეს მის მიერ წარმოდგენილი აქციონერის ინსტრუქციების შესაბამისად.

6. თუ რამდენიმე აქციონერის წარმომადგენელი ერთი და იგივე პირია, მას უფლება აქვს სხვადასხვა აქციონერისთვის სხვადასხვაგვარად მისცეს ხმა.

7. ხელმძღვანელი ორგანო და სამეთვალყურეო საბჭო ვალდებული არიან მონაწილეობა მიიღონ საერთო კრების მუშაობაში.

8. აქციონერი ან მისი წარმომადგენელი ხმის უფლებას ვერ გამოიყენებს, თუ საერთო კრება იხილავს ამ აქციონერისთვის სააქციო საზოგადოების მოთხოვნის წაყენების ან მასთან გარიგების დადების საკითხს, აღნიშნულ აქციონერს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით ინტერესთა კონფლიქტი აქვს ან ეს საკითხი სხვაგვარად პირდაპირ უკავშირდება მას.

9. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს, სულ მცირე, თითო წევრს უნდა მიეცეს საერთო კრებაზე სიტყვით გამოსვლის შესაძლებლობა.

10. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია საერთო კრებას მონაწილეები არა მხოლოდ უშუალოდ ესწრებოდნენ, არამედ ამ ფორმასთან ერთად ან მის ნაცვლად გამოყენებულ იქნეს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებები.

11. საერთო კრებაზე სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია დაშვებულ იქნეს აქციონერის მიერ ხმის მიცემა საერთო კრებაზე დაუსწრებლად, მათ შორის, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს გადაწყვეტილებით აქციონერმა ხმა შეიძლება მისცეს წერილობით/ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით საერთო კრების დაწყებამდე ან საერთო კრების მიმდინარეობისას.

12. ხმის მიცემისას ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენების შემთხვევაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს პირის იდენტიფიკაციის შესაძლებლობა და ელექტრონული კომუნიკაციის სისტემის უსაფრთხოება, რისთვისაც პასუხისმგებლობა ეკისრება სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს.

13. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია განხორციელდეს საერთო კრების ვიდეო და აუდიოტრანსლირება,

აგრეთვე უზრუნველყოფილ იქნეს ორმხრივი ელექტრონული კომუნიკაცია, რაც აქციონერებს საშუალებას მისცემს, საერთო კრებას დისტანციურად მიმართონ.

14. საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუკი მას ესწრება/ესწრებიან ხმების უმრავლესობის მქონე აქციონერები.

15. საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების 3/4-ის უმრავლესობით, თუ ამ წესდებით ხმათა სხვა რაოდენობა არ არის გათვალისწინებული.

16. წესდების ახალი რედაქცია, სადამფუძნებლო შეთანხმებაში შესატანი ცვლილება, დამატებითი აქციების გამოშვებით კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების 3/4-ის უმრავლესობით.

17. აქციონერის ხმის უფლება განისაზღვრება აქციათა რაოდენობის მიხედვით.

18. აქციონერის ხმის უფლება წარმოიშობა აქციის სანაცვლოდ შენატანის სრულად განხორციელების მომენტიდან.

19. საერთო კრებას თავმჯდომარეობს სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. მისი არყოფნისას საერთო კრების თავმჯდომარეს ხმათა უმრავლესობით ირჩევს საერთო კრება.

20. საერთო კრების მიმდინარეობისას კენჭისყრის ფორმას განსაზღვრავს საერთო კრება კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უმრავლესობით.

21. საერთო კრების თავმჯდომარემ საერთო კრების მონაწილე ყველა აქციონერს უნდა მისცეს მისი დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვისას სიტყვით გამოსვლის შესაძლებლობა.

22. კენჭისყრის შედეგები ცხადდება საერთო კრებაზე.

23. საერთო კრების გადაწყვეტილებით სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრისა და ხელმძღვანელი პირის ასარჩევად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ხმების აკუმულირების მეთოდი, რომლის მიხედვით:

ა) აქციონერი თავის ყველა ხმას ანაწილებს ნებისმიერი რაოდენობის კანდიდატზე, ისე, რომ კენჭისყრაში მონაწილეობისას მისი ხმათა ჯამური რაოდენობა არ აღემატებოდეს მის განკარგულებაში არსებულ ხმათა საერთო რაოდენობას;

ბ) აქციონერს შეუძლია თითოეული თავისი ხმით მხოლოდ მხარი დაუჭიროს კანდიდატს;

გ) თუ კანდიდატების რაოდენობა ასარჩევ წევრთა/პირთა დადგენილ რაოდენობაზე ნაკლებია ან მისი ტოლია, ყველა ის კანდიდატი, რომელმაც თუნდაც 1 ხმა მიიღო, არჩეულად მიიჩნევა. თუ კანდიდატების რაოდენობა აღემატება ასარჩევ წევრთა/პირთა დადგენილ რაოდენობას, არჩეულად მიიჩნევიან ის კანდიდატები, რომლებმაც კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უმრავლესობა მიიღეს.

24. საერთო კრების დამთავრებიდან 15 დღის განმავლობაში უნდა შედგეს საერთო კრების ოქმი, რომელსაც ხელს აწერს საერთო კრების თავმჯდომარე. თუ საერთო

კრებას ნოტარიუსი ესწრება, საერთო კრების ოქმს ადგენს და ხელს აწერს ნოტარიუსიც. იმ შემთხვევაში, თუ სააქციო საზოგადოება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ანგარიშვალდებული საწარმოა, რომლის ფასიანი ქაღალდები სავაჭროდ არის დაშვებული საფონდო ბირჟაზე, საერთო კრების ოქმს ადგენს ნოტარიუსი და მას ხელს აწერენ ნოტარიუსი და საერთო კრების თავმჯდომარე.

25. საერთო კრების ოქმში უნდა აღინიშნოს:

ა) სააქციო საზოგადოების საფირმო სახელწოდება;

ბ) საერთო კრების ჩატარების ადგილი და თარიღი;

გ) ხმის უფლების მქონე აქციათა საერთო რაოდენობა;

დ) საერთო კრებაში მონაწილე ან საერთო კრებაზე წარმოდგენილი ხმის უფლების მქონე აქციების რაოდენობა;

ე) საერთო კრების ჩატარების ფორმა, ხმის მიცემის ფორმა და მიღებული გადაწყვეტილებები საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების რიგითობის მიხედვით;

ვ) ყოველი გადაწყვეტილებისთვის – იმ აქციების რაოდენობა, რომლებიდან გამომდინარეც მართლზომიერად იყო ხმები მიცემული, ამ ხმებით წარმოდგენილი წილი განთავსებულ კაპიტალში, ხმების საერთო რაოდენობა, როგორც გადაწყვეტილების სასარგებლოდ, ისე მის საწინააღმდეგოდ მიცემული ხმების რაოდენობა და მათი რაოდენობა, ვინც ხმის მიცემისგან თავი შეიკავა.

26. საერთო კრების ოქმს უნდა დაერთოს საერთო კრების დადგენილი წესით მოწვევის დამადასტურებელი ყველა საბუთი.

მუხლი 11. საერთო კრების კომპეტენცია

1. საერთო კრება იღებს გადაწყვეტილებებს კანონითა და ამ წესდებით საერთო კრების კომპეტენციისთვის მიკუთვნებულ საკითხებზე, მათ შორის:

ა) სადამფუძნებლო შეთანხმებაში ცვლილების შეტანის შესახებ, წესდების ახალი რედაქციის მიღების შესახებ;

ბ) „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ საკითხებზე;

გ) სააქციო საზოგადოების მართვის სისტემის შეცვლის შესახებ;

დ) სააქციო საზოგადოების რეორგანიზაციის შესახებ;

ე) სააქციო საზოგადოების დაშლის, ლიკვიდატორის დანიშვნის, შუალედური და საბოლოო სალიკვიდაციო ბალანსების დამტკიცების შესახებ;

ვ) სააქციო საზოგადოების მიერ აქციათა გამოსყიდვის ნებართვის გაცემის შესახებ;

ზ) განთავსებული კაპიტალის ცვლილების შესახებ;

თ) სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის, წევრების რაოდენობის, მათი არჩევის, ვადამდე გამოწვევის, ანაზღაურების ოდენობისა და სტრუქტურის განსაზღვრის შესახებ;

ი) სააქციო საზოგადოების აუდიტის ანგარიშის დამტკიცებისა და აუდიტის განმახორციელებელი პირის შერჩევის შესახებ;

კ) ფინანსური ანგარიშის დამტკიცებისა და დივიდენდის განაწილების შესახებ;

ლ) საერთო კრების მიმდინარეობის წესის დადგენისა და ხმის დამთვლელი კომისიის არჩევის შესახებ;

მ) სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს/პირების და სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრების წინააღმდეგ მიმდინარე სასამართლო პროცესში მონაწილეობის შესახებ, მათ შორის, აღნიშნული პროცესისთვის წარმომადგენლის დანიშვნის თაობაზე;

ნ) სააქციო საზოგადოების მიერ იმ ქონების შეძენის, გასხვისების, გაცვლის (ერთმანეთთან დაკავშირებული გარიგებების) ან სხვაგვარად დატვირთვის შესახებ, რომლის ღირებულება სააქციო საზოგადოების აქტივების საბალანსო ღირებულების ნახევარზე მეტს შეადგენს, გარდა ისეთი გარიგებისა, რომელიც ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას ეხება;

ო) ამ წესდებით გათვალისწინებულ გარიგებებზე თანხმობის გაცემა.

2. საერთო კრებას არ აქვს უფლება მიიღოს გადაწყვეტილებები იმ საკითხებზე, რომლებიც სხვა ორგანოების კომპეტენციას განეკუთვნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ორგანოები საერთო კრებას მათი კომპეტენციისთვის მიკუთვნებული საკითხის გადაწყვეტის თხოვნით მიმართავენ.

3. საერთო კრების გადაწყვეტილება/ოქმი ნამდვილია, თუ:

ა) საერთო კრება მოწვეულია უფლებამოსილი ორგანოს/პირის მიერ კანონმდებლობითა და ამ წესდებით დადგენილი წესით;

ბ) საერთო კრების ოქმი დამოწმებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) საერთო კრების მოწვევის შესახებ ელექტრონული პორტალის სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე საჯაროდ გამოქვეყნებულ წერილობით შეტყობინებაში/პარტნიორებისთვის გაგზავნილ მოსაწვევში მითითებულია საერთო კრების დღის წესრიგი, სააქციო საზოგადოების საფირმო სახელწოდება, საერთო კრების ჩატარების ადგილი, თარიღი და დაწყების დრო;

დ) დაცულია საერთო კრების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების პარტნიორებისთვის შეტყობინების წესი;

ე) საერთო კრებაზე განსახილველი საკითხი განეკუთვნება საერთო კრების უფლებამოსილებას;

ვ) გადაწყვეტილება სადამფუძნებლო შეთანხმებაში ცვლილების/წესდების ახალი რედაქციის მიღების შესახებ არ ეწინააღმდეგება კანონს;

ზ) გადაწყვეტილება არ ეწინააღმდეგება კანონის იმ ნორმებს, რომელთა უმთავრესი მიზანია კრედიტორთა უფლებების დაცვა;

თ) გადაწყვეტილება არ ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს.

4. საერთო კრების გადაწყვეტილება/ოქმი საჩივრდება სასამართლოში.

5. ხელმძღვანელი პირები ვალდებული არიან საერთო კრების გადაწყვეტილების ბათილობის თაობაზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ წარუდგინონ მარეგისტრირებელ ორგანოს, თუ საერთო კრების გასაჩივრებული გადაწყვეტილების საფუძველზე უკვე განხორციელდა რეგისტრაცია.

6. ხელმძღვანელი პირები ვალდებულნი არიან საერთო კრების გადაწყვეტილების ან მისი ნაწილის ბათილობის თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ განათავსონ სააქციო საზოგადოების ვებგვერდზე ან სხვაგვარად მიაწოდონ პარტნიორებს.

მუხლი 12. ხელმძღვანელი ორგანო

1. სააქციო საზოგადოებას ხელმძღვანელობს და მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოადგენს ხელმძღვანელი ორგანო - დირექტორი, რომელიც შედგება ერთი ან რამდენიმე ხელმძღვანელი პირისგან. ხელმძღვანელი პირი შეიძლება იყოს როგორც ქმედუნარიანი ფიზიკური პირი, ისე იურიდიული პირი. ხელმძღვანელი ორგანოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მესამე პირთან ურთიერთობაში არ შეიძლება შეიზღუდოს.

2. ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია შეასრულოს საერთო კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მათი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები.

3. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია საერთო კრების მოთხოვნით მოამზადოს ის საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც საერთო კრების კომპეტენციას განეკუთვნება.

4. ხელმძღვანელ პირთან ურთიერთობის შინაარსი და მისი საქმიანობის ანაზღაურება განისაზღვრება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და სასამსახურო ხელშეკრულებით, რომელსაც პირის სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელად დანიშვნის შემდეგ სააქციო საზოგადოების სახელით დებს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.

5. თუ ხელშეკრულების დადებისას კონტრაჰენტისთვის ცნობილი იყო სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ, საზოგადოებას აქვს ამ ხელშეკრულების შეცილების უფლება. იგივე წესი გამოიყენება, თუ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი და კონტრაჰენტი განზრახ მოქმედებენ ერთად, რათა ზიანი მიადგეს იმ სამეწარმეო საზოგადოებას, რომლის სახელითაც მოქმედებს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი.

6. სააქციო საზოგადოების რამდენიმე ხელმძღვანელი პირის არსებობისას საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს ერთ-ერთი წევრი დანიშნოს ხელმძღვანელი ორგანოს თავმჯდომარედ.

7. ხელმძღვანელი ორგანოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადა არ უნდა აღემატებოდეს ხელმძღვანელ ორგანოში მისი წევრობის უფლებამოსილების ვადას.

8. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს თავმჯდომარე, როგორც კოლეგიური ორგანოს წარმომადგენელი, კოორდინაციას უწევს სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს საქმიანობას, თავმჯდომარეობს ხელმძღვანელი ორგანოს სხდომებს და აკონტროლებს ხელმძღვანელი ორგანოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების მიერ მათთვის დაკისრებული მოვალეობების ჯეროვნად შესრულებას.

9. ხელმძღვანელი ორგანოს თავმჯდომარემ სამეთვალყურეო საბჭოს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია ხელმძღვანელი ორგანოს და მისდამი დაქვემდებარებული ორგანოების საქმიანობის შესახებ.

10. კოლეგიური ხელმძღვანელი ორგანოს სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა უმრავლესობა. თუ სხდომას არ ესწრება ხელმძღვანელი ორგანოს თავმჯდომარე, დამსწრე წევრები ხმათა უმრავლესობით ირჩევენ სხდომის თავმჯდომარეს. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო გადაწყვეტილებას იღებს კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უმრავლესობით. გადაწყვეტილების მიღებისას ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია ხელმძღვანელი ორგანოს თავმჯდომარის/სხდომის თავმჯდომარის ხმა, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

11. ხელმძღვანელი ორგანოს სხდომების მოწვევისა და ჩატარების მიმართ გამოიყენება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამ წესდებით დადგენილი წესები სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების მოწვევისა და ჩატარების შესახებ.

12. სხდომა ან სხდომის ნაწილი შეიძლება დაიხუროს იმ ხელმძღვანელი პირისთვის, რომელთან დაკავშირებული საკითხიც განიხილება სხდომაზე.

13. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ პირს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამეთვალყურეო საბჭო. ხელმძღვანელი პირი თანამდებობაზე ინიშნება არაუმეტეს 3 წლის ვადით, ხელახლა დანიშვნის უფლებით. თუ ამ ვადის ამოწურვის შემდეგ კანონით დადგენილი წესით არ განხორციელდება ხელმძღვანელი პირის უფლებამოსილების ახალი ვადის ან ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ცვლილების რეგისტრაცია, რეგისტრირებული ხელმძღვანელი პირის უფლებამოსილება განუსაზღვრელი ვადით გაგრძელებულად მიიჩნევა.

14. თუ ჭიანურდება სააქციო საზოგადოების იმ ხელმძღვანელი პირის დანიშვნა, რომლის გარეშეც სააქციო საზოგადოება თავის საქმიანობას ვერ ახორციელებს,

ხელმძღვანელი პირი აქციონერის ან კრედიტორის განცხადების საფუძველზე შეიძლება დანიშნოს სასამართლომ. სასამართლოს მიერ დანიშნულ სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ პირს უფლება აქვს თავისი საქმიანობისთვის სააქციო საზოგადოებას მოსთხოვოს გასამრჯელო და გონივრულ ფარგლებში ფულადი დანახარჯების ანაზღაურება. სასამართლოს მიერ დანიშნული ხელმძღვანელი პირისა და სააქციო საზოგადოების შეუთანხმებლობის შემთხვევაში სასამართლომ თავად უნდა განსაზღვროს აღნიშნული გასამრჯელოს და ასანაზღაურებელი ფინანსური დანახარჯების ოდენობები.

15. სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს გაათავისუფლოს თანამდებობიდან ხელმძღვანელი პირი შესაბამისი საფუძვლის მითითების გარეშე. ნებისმიერი შეთანხმება, რომელიც ამ დებულებას ეწინააღმდეგება, ბათილია.

16. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია საერთო კრების მოთხოვნით მოამზადოს ის საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც საერთო კრების კომპეტენციას განეკუთვნება.

17. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო გადაწყვეტილებას იღებს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე.

18. ხელმძღვანელი ორგანოს ფუნქციები სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობის სფეროში არ შეიძლება გადაეცეს სამეთვალყურეო საბჭოს.

19. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია ელექტრონული პორტალის სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე გამოაქვეყნოს სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის ცვლილების, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის არჩევისა და მასთან დაკავშირებული ყველა ცვლილების შესახებ ინფორმაცია, აგრეთვე აღნიშნული ინფორმაცია განათავსოს სააქციო საზოგადოების ვებგვერდზე (არსებობის შემთხვევაში).

20. ყველა საკითხი, რომლებიც კანონით ან ამ წესდებით არ განეკუთვნება საერთო კრების ან სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას, განეკუთვნება სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს კომპეტენციას.

მუხლი 13. სამეთვალყურეო საბჭო

1. სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებს კონტროლს ხელმძღვანელი ორგანოს/პირების საქმიანობაზე და თანამშრომლობს მასთან სააქციო საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების მომზადებისა და გადაწყვეტის პროცესში.

2. სამეთვალყურეო საბჭო შედგება, სულ მცირე, 4 წევრისაგან.

3. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი.

4. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი აირჩევა საერთო კრების მიერ კენჭისყრაში მონაწილე ხმათა უმრავლესობით.

5. სამეთვალყურეო საბჭოს ყოველი წევრი აირჩევა 3 წლის ვადით. სამეთვალყურეო საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადა მისი ამოწურვის შემდეგ ავტომატურად გრძელდება საერთო კრების ჩატარებამდე და ამ კრებაზე ახალი წევრების არჩევამდე. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები შეიძლება არჩეულ იქნენ ახალი ვადით.

6. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ვალდებულია კეთილსინდისიერად განახორციელოს სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს/პირების საქმიანობის კონტროლი და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში წარმოადგინოს საზოგადოება ხელმძღვანელ ორგანოებთან / პირებთან ურთიერთობაში.

7. სამეთვალყურეო საბჭოს არჩეული წევრები საერთო კრების გადაწყვეტილებით ნებისმიერ დროს შეიძლება გამოწვეულ იქნენ წევრობიდან. გადაწყვეტილება მიიღება კენჭისყრაში მონაწილე ხმათა ¾-ის უმრავლესობით.

8. სამეთვალყურეო საბჭოს ყოველ წევრს ნებისმიერ დროს შეუძლია გავიდეს სამეთვალყურეო საბჭოს წევრობიდან, ისე, რომ ზიანი არ მიადგეს სააქციო საზოგადოებას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მას აქვს საპატიო მიზეზი.

9. თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრის გასვლიდან 6 თვის განმავლობაში არ იქნება არჩეული ახალი წევრი, ხელმძღვანელი ორგანოს განცხადების საფუძველზე სასამართლოს შეუძლია დანიშნოს ახალი წევრი. აღნიშნული წესი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როცა სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობა ნაკლებია ამ წესდებით განსაზღვრულ წევრთა რაოდენობაზე.

10. სასამართლოს მიერ დანიშნული სამეთვალყურეო საბჭოს წევრის უფლებამოსილება წყდება კანონით დადგენილი წესით ახალი წევრის არჩევისთანავე.

11. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იმავდროულად არ შეიძლება იყოს ხელმძღვანელი ორგანოს წევრი. ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია ელექტრონული პორტალის სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე გამოაქვეყნოს სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის არჩევა და მათთან დაკავშირებული ყოველი ცვლილება, ასევე განათავსოს აღნიშნული საზოგადოების ვებგვერდზე, თუ საზოგადოებას აქვს ვებგვერდი.

12. სამეთვალყურეო საბჭო საბჭოს წევრებიდან ირჩევს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარესა და მის მოადგილეს კენჭისყრაში მონაწილე ხმათა უმრავლესობით. თუ კანდიდატები მიიღებენ ხმების თანაბარ რაოდენობას, თავმჯდომარედ დაინიშნება მათ შორის უხუცესი.

13. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე კოორდინაციას უწევს საბჭოს საქმიანობას, თავმჯდომარეობს საბჭოს სხდომებს და წარმოადგენს საბჭოს საზოგადოების სხვა ორგანოებთან, თანამდებობის პირებთან და თანამშრომლებთან. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ასრულებს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის

ფუნქციებს თავმჯდომარის არყოფნისას ან მის მიერ მოვალეობების შესრულების შეუძლებლობისას.

14. სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრზე, შესაბამის შემთხვევებში, ვრცელდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე, 51-ე, 53-ე და 55-ე მუხლები სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი პირების პასუხისმგებლობის შესახებ.

მუხლი 14. სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენცია

1. სამეთვალყურეო საბჭოს უფლება აქვს:

ა) სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს ნებისმიერ დროს მოსთხოვოს სააქციო საზოგადოების საქმიანობის ანგარიში, იმ პირებთან ურთიერთობის ჩათვლით, რომელშიც მონაწილეობს საზოგადოება.

ბ) გამოითხოვოს, განიხილოს, შეამოწმოს და შეისწავლოს სააქციო საზოგადოების საქმიანი დოკუმენტაცია, მათ შორის, საბუღალტრო დოკუმენტაცია, სააქციო საზოგადოების ქონებრივი ობიექტები და სალარო; ამ მოქმედებების განხორციელება დაავალოს სამეთვალყურეო საბჭოს თითოეულ წევრს ან მათ განსახორციელებლად მოიწვიოს ექსპერტები;

გ) შეამოწმოს სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს წლიური ანგარიშები, წინადადებები მოგების განაწილების შესახებ, საქმიანობის ანგარიში და ამის თაობაზე მოახსენოს საერთო კრებას;

დ) წარმოადგინოს სააქციო საზოგადოება ხელმძღვანელ პირთან ურთიერთობაში, მათ შორის, სასამართლოში;

ე) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში გაასაჩივროს საერთო კრების გადაწყვეტილებები.

2. სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას მიეკუთვნება, მათ შორის:

ა) გადაწყვეტილება სხვა იურიდიული პირის დაფუძნების ან წილობრივი მონაწილეობის შესახებ (საერთო კრებისგან სამეთვალყურეო საბჭოსთვის გადაცემული კომპეტენცია).

ბ) გადაწყვეტილება ხელმძღვანელ პირთა ანაზღაურების ფორმისა და ოდენობის განსაზღვრის შესახებ (საერთო კრებისგან სამეთვალყურეო საბჭოსთვის გადაცემული კომპეტენცია).

გ) საზოგადოების აქციონერთა კრების დღის წესრიგის დამტკიცება;

დ) საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის არჩევა და მისი უფლებამოსილების შეწყვეტა;

ე) საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევა და მისი უფლებამოსილების ვადამდელი შეწყვეტა;

ვ) გადაწყვეტილება აქციათა რაოდენობის, ნომინალური ღირებულების, კლასებისა და მათთან დაკავშირებული უფლებების განსაზღვრის შესახებ (საერთო კრებისგან სამეთვალყურეო საბჭოსთვის გადაცემული კომპეტენცია);

ზ) გადაწყვეტილება აქციათა ნომინალური ღირებულების ცვლილების ან დამატებითი აქციების განთავსების შესახებ (საერთო კრებისგან სამეთვალყურეო საბჭოსთვის გადაცემული კომპეტენცია);

თ) საზოგადოების საქმიანობის მარეგულირებელი შიდა დოკუმენტების დამტიცება, იმ დოკუმენტების გარდა, რომელთა დამტკიცება კანონით ან/და წესდებით მიეკუთვნება საერთო კრების კომპეტენციას.

ი) საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს ფორმირება - დირექტორის არჩევა და მისი უფლებამოსილებების ვადამდელი შეწყვეტა; დირექტორთან სასამსახურო ხელშეკრულების პირობების განსაზვრა;

კ) დამოუკიდებელი (მათ შორის საბანკო, კორპორაციული) გარანტიების გაცემასთან, აკრედიტივების გახსნასთან დაკავშირებული გარიგებების მოწონება;

ლ) ამ წესდებით გათვალისწინებულ გარიგებებზე თანხმობის გაცემა.

მ) კანონით ან/და წესდებით სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას მიკუთვნებული სხვა საკითხების გადაწყვეტა.

3. სამეთვალყურეო საბჭოს წევრს უფლება აქვს გაეცნოს ხელმძღვანელი ორგანოს/ხელმძღვანელი პირის მიერ წარდგენილ ანგარიშებსა და ინფორმაციას.

მუხლი 15. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები

1. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა უნდა ჩატარდეს წელიწადში ერთხელ მაინც. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ვალდებულია უზრუნველყოს სხდომების ჩატარება.

2. სამეთვალყურეო საბჭოს ყოველ წევრს ან ხელმძღვანელ ორგანოს აქვს უფლება სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისაგან მოითხოვოს საბჭოს სხდომის დაუყოვნებლივ მოწვევა. მოთხოვნაში უნდა მიეთითოს რიგგარეშე სხდომის ჩატარების მიზეზები და მიზნები. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ვალდებულია მოთხოვნიდან 10 დღის განმავლობაში უზრუნველყოს სხდომის ჩატარება. თუ სხდომის მოწვევის შესახებ მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, სამეთვალყურეო საბჭოს წევრს ან ხელმძღვანელ ორგანოს შეუძლიათ, თვითონ მოიწვიონ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა.

3. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებს უძღვება სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში – სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთი წევრი. სხდომის მიმდინარეობისა და გადაწყვეტილებების შესახებ დგება სხდომის ოქმი.

სხდომის ოქმის სისწორესა და სრულყოფილებაზე პასუხისმგებელია სხდომის თავმჯდომარე.

4. სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ სხდომას ესწრება სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა, სულ მცირე, 3/4-ი.

5. თუ სამეთვალყურეო საბჭო არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, სხდომის თავმჯომარე ვალდებულია არაუგვიანეს 10 დღისა მოიწვიოს ახალი სხდომა, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანი იქნება კენჭისყრაში მონაწილე წევრთა რაოდენობის მიუხედავად.

6. სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებები მიიღება კენჭისყრაში მონაწილე ხმათა უმრავლესობით და ყოველ წევრს აქვს ერთი ხმა. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ხმა, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარის ხმა.

7. სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებები ფორმდება ოქმში ჩანაწერით. ოქმს ადგენს თავმჯდომარე. კრების ოქმის ნამდვილობასა და მასში მითითებული ფაქტების სისწორეზე პასუხისმგებელია სხდომის თავმჯდომარე.

მუხლი 16. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობის ზოგადი პრინციპები

1. ხელმძღვანელი პირი ვალდებულია სააქციო საზოგადოების საქმეებს გაუძღვეს მართლზომიერად და კეთილსინდისიერი ხელმძღვანელის გულისხმიერებით, კერძოდ, მასზე ისე ზრუნავდეს, როგორც ანალოგიურ პირობებში უნდა ეზრუნა/ემოქმედა ჩვეულებრივ, საღად მოაზროვნე პირს, იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება საზოგადოებისთვის ეკონომიკურად ყველაზე ხელსაყრელია.

2. ხელმძღვანელი პირი სააქციო საზოგადოების წინაშე პასუხს აგებს კეთილსინდისიერების მოვალეობის ბრალეული შეუსრულებლობით მიყენებული ზიანისთვის. დაუშვებელია შეიზღუდოს ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობა ამ მოვალეობის განზრახ შეუსრულებლობისთვის.

3. ხელმძღვანელი პირის მიერ სააქციო საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს ხელმძღვანელ ორგანოს, სხვა ხელმძღვანელ პირს, ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში და დადგენილი წესით – თითოეულ პარტნიორს.

4. ხელმძღვანელი პირი თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, თუ იგი თავისი ქმედებით საერთო კრების გადაწყვეტილებას ასრულებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მან საერთო კრების გადაწყვეტილების მიღებას ხელი შეუწყო არასწორი ინფორმაციის მიწოდებით ან იცოდა, რომ ამ გადაწყვეტილების მიღება ზიანს გამოიწვევდა, მაგრამ ამის თაობაზე არ შეატყობინა საერთო კრებას გადაწყვეტილების მიღებამდე ან აღსრულებამდე.

5. თუ გარიგების ღირებულება 10,000 (ათი ათასი) აშშ დოლარიდან (ნებისმიერ ვალუტაში მისი ეკვივალენტიდან) 20,000 აშშ დოლარამდეა (ნებისმიერ ვალუტაში მის

ეკვივალენტამდე), გარიგება სამეთვალყურეო საბჭომ უნდა დაამტკიცოს, ხოლო თუ გარიგების ღირებულება 20,000 აშშ დოლარი და მეტია (ეკვივალენტით ნებისმიერ ვალუტაში), ასეთი გარიგება საერთო კრებამ უნდა დაამტკიცოს.

6. თუ სააქციო საზოგადოება გადახდისუუნაროა ან გადახდისუუნარობის საშიშროების წინაშე დგას, ხელმძღვანელმა პირმა ბრალეული გაჭიანურების გარეშე, მაგრამ საზოგადოების გადახდისუუნარობის დადგომის მომენტიდან არაუგვიანეს 3 კვირისა, უნდა განაცხადოს გადახდისუუნარობის თაობაზე „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება ბრალეულად გაჭიანურებული არ არის, თუ ხელმძღვანელი პირი ზრუნვის მოვალეობას ჯეროვნად ასრულებს.

7. ზრუნვის მოვალეობა არ არის დარღვეული და ხელმძღვანელი პირი არ არის ვალდებული აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც სააქციო საზოგადოებას მის მიერ მიღებული სამეწარმეო გადაწყვეტილებით მიადგა, თუ ხელმძღვანელ პირს გონივრულად შეეძლო ევარაუდა, რომ იგი სამეწარმეო გადაწყვეტილებას საკმარისი და სანდო ინფორმაციის საფუძველზე, საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, დამოუკიდებლად და ინტერესთა კონფლიქტის ან სხვათა ზეგავლენის გარეშე იღებდა. აღნიშნული წესი არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც სამეწარმეო გადაწყვეტილება კანონით ან ამ წესდებით გათვალისწინებული მოვალეობების დარღვევით არის მიღებული.

8. ხელმძღვანელ პირს არ აქვს უფლება სააქციო საზოგადოების თანხმობის გარეშე
განახორციელოს იგივე საქმიანობა, რომელსაც ახორციელებს საზოგადოება, ან იყოს იმავე სფეროში მოქმედი საზოგადოების ხელმძღვანელი პირი. ხელმძღვანელ პირთან დადებული სასამსახურო ხელშეკრულებით აღნიშნული ვალდებულება შეიძლება ძალაში დარჩეს მისი თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგაც, მაგრამ არაუმეტეს 3 წლის ვადით. ამ ვალდებულების დარღვევისთვის შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს კომპენსაცია. მისი ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება სასამსახურო ხელშეკრულებით ან მხარეთა დამატებითი შეთანხმებით. კონკურენციის აკრძალვის წესის დარღვევის შემთხვევაში საზოგადოებას შეუძლია დამრღვევს, საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანისთვის კომპენსაციასთან ერთად, შეთანხმებული პირგასამტეხლოს გადახდაც მოსთხოვოს. საზოგადოებას შეუძლია დამრღვევს კომპენსაციის ნაცვლად მოსთხოვოს საკუთარი ან მესამე პირის სახელით დადებული გარიგებიდან დამრღვევის მიერ მიღებული სარგებლის საზოგადოებისთვის გადაცემა ან ამგვარი სარგებლის მიღების უფლების დათმობა. ამ უფლების გამოყენება შეუძლია ხელმძღვანელ ორგანოს, სხვა ხელმძღვანელ პირს, ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში – თითოეულ პარტნიორს.

9. სააქციო საზოგადოებაში ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებაზე თანხმობის გაცემა შეუძლია საერთო კრებას. თანხმობა შეიძლება გაიცეს როგორც ზოგადად, ისე კონკრეტულ საქმიანობაზე, გარიგების სახესა და სააქციო საზოგადოებაში მონაწილეობაზე. თანხმობის გაცემაზე დაუსაბუთებლად

უარის თქმა დაუშვებელია. საქმიანობის განხორციელებაზე თანხმობა გაცემულად მიიჩნევა, თუ საზოგადოების ხელმძღვანელი პირის დანიშვნისას პარტნიორებმა იცოდნენ, რომ საზოგადოების ხელმძღვანელი პირი ახორციელებდა აღნიშნულ საქმიანობას, მაგრამ მისთვის ამ საქმიანობის შეწყვეტა არ მოუთხოვიათ.

10. ხელმძღვანელ პირს არ აქვს უფლება, სააქციო საზოგადოების წინასწარი თანხმობის გარეშე, პირადი სარგებლის ან, ამ საზოგადოების გარდა, სხვა პირთა მიერ სარგებლის მისაღებად ისარგებლოს საზოგადოების საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული საქმიანი შესაძლებლობით, რომელიც მისთვის ხელმისაწვდომი გახდა მოვალეობის შესრულებისას ან თანამდებობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე და რომელიც, გონივრული თვალსაზრისით, საზოგადოების ინტერესის საგანი შეიძლებოდა ყოფილიყო. საზოგადოების წინასწარი თანხმობის მიღება საჭირო არ არის, თუ საერთო კრებამ უკვე იმსჯელა აღნიშნულ შესაძლებლობაზე და უარი თქვა მის გამოყენებაზე. ეს ვალდებულება ძალაში რჩება ხელმძღვანელი პირის თანამდებობიდან გათავისუფლებიდან არაუმეტეს 3 წლისა. მასთან დადებული სასამსახურო ხელშეკრულებით შეიძლება დადგინდეს უფრო მცირე ვადა. საქმიანი შესაძლებლობით სარგებლობაზე წინასწარი თანხმობის გაცემა შეუძლია საერთო კრებას.

11. საქმიანი შესაძლებლობის მითვისების აკრძალვის წესის დარღვევის შემთხვევაში სააქციო საზოგადოებას შეუძლია დამრღვევს მოსთხოვოს ამ დარღვევით საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის (მათ შორის, მიუღებელი შემოსავლის) ანაზღაურება. საზოგადოებას შეუძლია დამრღვევს ზიანის ანაზღაურების ნაცვლად მოსთხოვოს საკუთარი ან მესამე პირის სახელით დადებული გარიგებიდან დამრღვევის მიერ მიღებული სარგებლის საზოგადოებისთვის გადაცემა ან ამგვარი სარგებლის მიღების უფლების დათმობა. ამ მოთხოვნის უფლების გამოყენება შეუძლია ხელმძღვანელ ორგანოს, ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში – თითოეულ პარტნიორს.

12. ვალდებულების რამდენიმე ხელმძღვანელი პირის მოქმედებით ან უმოქმედობით შეუსრულებლობის შემთხვევაში ისინი სააქციო საზოგადოების წინაშე პასუხს სოლიდარულად აგებენ.

13. საერთო კრებას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელმძღვანელი პირის მიერ სააქციო საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უარის თქმის ან მასთან მორიგების თაობაზე, თუ ამ გადაწყვეტილებას არ შეეწინააღმდეგებიან ხმათა, სულ მცირე, 10 პროცენტის მესაკუთრე აქციონერები. ხელმძღვანელი პირი ასევე თავისუფლდება საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან, თუ იგი თავისი ქმედებით საერთო კრების გადაწყვეტილებას ასრულებდა. ხელმძღვანელ პირს, რომლის საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან გათავისუფლების საკითხიც განიხილება, ეკრძალება ამ საკითხზე კენჭისყრისას ხმის მიცემა.

14. ხელმძღვანელ პირთან დადებული სასამსახურო ხელშეკრულებით არ შეიძლება გამოირიცხოს ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობა მის მიერ ვალდებულების განზრახ შეუსრულებლობით საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანისთვის.

15. ხელმძღვანელი პირი ასევე ვალდებულია დაიცვას „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 208-ე მუხლის მოთხოვნები.

მუხლი 17. სააქციო საზოგადოების დაშლა და რეორგანიზაცია

1. სააქციო საზოგადოების დაშლის საფუძვლებია:

ა) საზოგადოების პარტნიორთა გადაწყვეტილება საზოგადოების დაშლის შესახებ;

ბ) საზოგადოების პარტნიორთა სავალდებულო რაოდენობასთან დაკავშირებით კანონით დადგენილი მოთხოვნის დარღვევა;

გ) იურიდიული პირის ლიკვიდაციის შესახებ სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;

დ) საზოგადოების პარტნიორის განცხადების/სარჩელის საფუძველზე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საზოგადოების დაშლის შესახებ.

2. სააქციო საზოგადოების დაშლა ხორციელდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

3. მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას, აქციონერის განცხადების/სარჩელის საფუძველზე სააქციო საზოგადოება შეიძლება დაიშალოს სასამართლოს გადაწყვეტილებით. მნიშვნელოვანი საფუძველი არსებობს, თუ ერთ-ერთმა აქციონერმა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით დაარღვია კანონით ან ამ წესდებით მისთვის დაკისრებული არსებითი მოვალეობა, ან თუ აქციონერი მოვალეობას ვეღარ ასრულებს და სააქციო საზოგადოების მიზანი ვეღარ მიიღწევა.

4. აქციონერს შეუძლია სააქციო საზოგადოების დაშლის შესახებ განცხადების სასამართლოში შემტანი აქციონერის აქცია სასამართლოს მეშვეობით სამართლიან ფასად გამოისყიდოს განცხადების შეტანიდან 30 დღის განმავლობაში. ამ შემთხვევაში ყოველ პარტნიორს უნდა მიეცეს თავისი აქცია პროპორციულად გამოსყიდვაში მონაწილეობის შესაძლებლობა, თუ დანარჩენი აქციონერების აქციების გადანაწილების სხვა წესზე არ შეთანხმდებიან.

5. დასაშვებია სააქციო საზოგადოების რეორგანიზაცია განხორციელდეს შემდეგი ფორმებით:

ა) საზოგადოების გარდაქმნა;

ბ) სხვა სამეწარმეო საზოგადოებასთან შერწყმა (მიერთება ან გაერთიანება);

გ) საზოგადოების გაყოფა (დაყოფა ან გამოყოფა).

6. სააქციო საზოგადოების რეორგანიზაცია ხორციელდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

7. სააქციო საზოგადოების დაშლისა და რეორგანიზაციის პროცესში უნდა იქნეს გათვალისწინებული „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული აქციონერთა უფლებები და მოვალეობები.

8. სააქციო ლიკვიდაციის პროცესს ერთობლივად ხელმძღვანელობენ ხელმძღვანელი პირები, რომლებიც ინიშნებიან ლიკვიდატორებად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საერთო კრების გადაწყვეტილება ლიკვიდატორებად სხვა პირების დანიშვნას ითვალისწინებს.

9. ლიკვიდატორებმა მარეგისტრირებელი ორგანოს ერთიანი ელექტრონული პორტალის სუბიექტის ავტორიზებულ გვერდზე (ელექტრონულ მისამართზე) ან თავიანთ ვებგვერდზე განცხადების გამოქვეყნებით დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინონ კრედიტორებს სააქციო საზოგადოების დაშლის შესახებ და უნდა მოიწვიონ ისინი მოთხოვნების განსაცხადებლად.

10. ლიკვიდატორი უნდა აკმაყოფილებდეს სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი პირისთვის წაყენებულ მოთხოვნებს.

11. საერთო კრება უფლებამოსილია ნებისმიერ მომენტში გაათავისუფლოს ლიკვიდატორი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ლიკვიდატორი სასამართლოს მიერ არის დანიშნული.

12. ხელმძღვანელი პირი ვალდებულია მარეგისტრირებელ ორგანოს მიმართოს განცხადებით ლიკვიდატორების მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მიზნით. მარეგისტრირებელი ორგანოსთვის ამ განცხადებით მიმართვის უფლება აქვს აქციონერს. აღნიშნულ განცხადებას უნდა ერთოდეს კანონმდებლობის შესაბამისად დამოწმებული დოკუმენტი ლიკვიდატორის დანიშვნის ან გათავისუფლების და მისი უფლებამოსილების შესახებ, ლიკვიდატორის ხელმოწერის ნიმუში, ხოლო თუ ლიკვიდატორი ხელმძღვანელი პირი არ არის – აგრეთვე ლიკვიდატორის თანხმობა. ლიკვიდატორის ან მისი უფლებამოსილების ყოველი ცვლილებისას მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში ცვლილების რეგისტრაციის მიზნით განცხადებას წარადგენენ ლიკვიდატორები.

13. ლიკვიდაციასთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელებისას ლიკვიდატორები სარგებლობენ იმავე უფლებებით და ეკისრებათ იგივე მოვალეობები, რომლებიც აქვთ ხელმძღვანელ პირებს, გარდა კონკურენციის აკრძალვისა. ლიკვიდატორებზე ვრცელდება განსაკუთრებულ ვითარებაში ზრუნვის მოვალეობა. ლიკვიდატორები ვალდებული არიან დაასრულონ მიმდინარე საქმეები, მოახდინონ აქტივების რეალიზაცია და შეასრულონ სააქციო საზოგადოების ვალდებულებები. ლიკვიდატორებს უფლება აქვთ დადონ ახალი გარიგებები, თუ ეს ლიკვიდაციისთვის აუცილებელია.

14. ლიკვიდაციის პროცესში მყოფი სააქციო საზოგადოების ქონება ნაწილდება აქციონერებს შორის, მათ აქციებთან დაკავშირებული უფლებების შესაბამისად.

15. თუ შენატანები სრულად არ იყო განხორციელებული, თავდაპირველად ბრუნდება შენატანები ან მათი ღირებულება, ხოლო ნარჩენი ქონება ნაწილდება აქციონერთა აქციებთან დაკავშირებული უფლებების შესაბამისად.

16. თუ ქონება შენატანების დასაბრუნებლად საკმარისი არ არის, ნარჩენი ქონება ნაწილდება წილებთან დაკავშირებული უფლებების შესაბამისად, ხოლო თუკი შენატანები სრულად არ იყო განხორციელებული – განხორციელებული შენატანების პროპორციულად.

17. ქონება შეიძლება განაწილდეს მხოლოდ სააქციო საზოგადოების ვალდებულებების დაფარვიდან და სააქციო საზოგადოების დაშლის შესახებ განცხადების გამოქვეყნებიდან 5 თვის შემდეგ. სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ქონება შეიძლება განაწილდეს სააქციო საზოგადოების დაშლის შესახებ განცხადების გამოქვეყნებიდან 3 თვის შემდეგ, თუ არსებობს დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, რომ ყველა ვალდებულება შესრულებულია და, არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ქონების განაწილება საფრთხეს არ უქმნის მესამე პირთა უფლებებს.

18. თუ ცნობილი კრედიტორები არ განაცხადებენ თავიანთი მოთხოვნების შესახებ, ქონება შეიძლება განაწილდეს მხოლოდ მათი მოთხოვნების შესაბამისი ღირებულების სასამართლოს ან ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსების შემდეგ.

19. თუ ვალდებულება სადავოა ან მისი შესრულების ვადა არ დამდგარა, ქონება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში განაწილდეს, თუკი კრედიტორს წარედგინება ვალდებულების ტოლფასი უზრუნველყოფა.

20. აქციონერთა გადაწყვეტილების საფუძველზე დაშლილმა სააქციო საზოგადოებამ შეიძლება გააგრძელოს არსებობა, თუ ამას გადაწყვეტს საერთო კრება კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების 3/4-ის უმრავლესობით და სააქციო საზოგადოების ქონების აქციონერთა შორის განაწილება არ დაწყებულა.

21. დაშლილი საზოგადოების მიერ არსებობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებას მარეგისტრირებელ ორგანოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციისთვის ლიკვიდატორები წარუდგენენ. მათვე ეკისრებათ იმის დადასტურების ვალდებულება, რომ სააქციო საზოგადოების ქონების აქციონერთა შორის განაწილება დაწყებული არ არის.

22. დაშლილი საზოგადოების მიერ არსებობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება ძალაში შედის მხოლოდ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში მისი რეგისტრაციის შემდეგ.

23. სააქციო საზოგადოების ქონების სრულად განაწილება იწვევს საზოგადოების ლიკვიდაციის დასრულებას. საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესი უნდა დასრულდეს საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 4 თვისა, ხოლო საგადასახადო შემოწმების ჩატარების ვადის გაგრძელების შემთხვევაში

– საგადასახადო შემოწმების დასრულების შესახებ ინფორმაციის მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ მიღებიდან არაუგვიანეს 1 თვისა.

24. ლიკვიდატორებმა მარეგისტრირებელ ორგანოს უნდა მიმართონ ლიკვიდაციის რეგისტრაციის მოთხოვნით, რომლის საფუძველზედაც მარეგისტრირებელი ორგანო გააუქმებს სააქციო საზოგადოების რეგისტრაციას.

მუხლი 18. ბუღალტრული აღრიცხვა, ანგარიშგება და აუდიტი

1. საზოგადოების ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებს, ანგარიშგების მომზადება და წარდგენა ხდება და აუდიტი ხორციელდება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. აუდიტის განხორციელებაში სააქციო საზოგადოების აქციონერების, მმართველობითი ორგანოსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მონაწილეობამ საფრთხე არ უნდა შეუქმნას აუდიტორის დამოუკიდებლობასა და ობიექტურობას.

3. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი პირები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ერთობლივად არიან პასუხისმგებელი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისთვის.

მუხლი 19. დასკვნითი დებულებები

1. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონსა და ამ წესდებას შორის შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.

2. ამ წესდების რომელიმე დებულების ბათილად ცნობა გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.

ქეთევან დარსაძე / /

უფლებამოსილი პირი

დირექტორი

თარიღი: ----------

<u>პროექტი</u>

სადამფუძნებლო შეთანხმება

(სააქციო საზოგადოების სარეგისტრაციო მონაცემები/სარეგისტრაციო განაცხადი)

<u>* – სიმბოლოთი აღნიშნული ველების შევსება სავალდებულოა</u>

სამართლებრივი ფორმა --- სააქციო საზოგადოება

*** საფირმო სახელწოდება --- სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესი**

უნდა განისაზღვროს ქართულ ენაზე, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვლისწინებული წესით

*** საფირმო სახელწოდება ინგლისურ ენაზე --- JSC Microfinance Organization Alpha Express**

უნდა შეესაბამებოდეს ქართულ ენაზე განსაზღვრულ სახელწოდებას

*** იურიდიული მისამართი --- საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ფალიაშვილის ქუჩა, #53, ბინა #2**

საზოგადოების ფიზიკური (ფაქტობრივი) მისამართი

*** დამფუძნებლები/აქციონერები**

ფიზიკური პირის შემთხვევაში სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, იურიდიული პირის შემთხვევაში საფირმო სახელწოდება საიდენტიფიკაციო კოდი, იურიდიული მისამართი. აღნიშნული ველის შევსება სავალდებულოა, მხოლოდ სააქციო საზოგადოების დაფუძნების მომენტისთვის.

ხელმძღვანელი ორგანო დირექტორი

ხელმძღვანელი ორგანოს დასახელება (მაგ. დირექტორი, დირექტორატი, დირექტორთა საბჭო, პრეზიდიუმი და სხვა)

*** ხელმძღვანელი ორგანოს წევრი/წევრები**

ფიზიკური პირის შემთხვევაში სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, იურიდიული პირის შემთხვევაში სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი; უფლებამოსილების ვადა (თუ ასეთი ვადა განსაზღვრულია).

<u>დირექტორი - ქეთევან დარსაძე, პირადი ნომერი: 01010019286, საცხოვრებელი ადგილის მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ჟიული შარტავას ქუჩა, N 6, ბინა 74 (ყოფ. ანაგის ქ.)</u>

*** ხელმძღვანელი ორგანოს წევრების წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლები**

უნდა მიეთითოს წევრები ერთობლივად (ერთად) წარმოადგენენ საზოგადობას, თუ ერთპიროვნულად (ცალ-ცალკე). თუ ხელმძღვანელი ორგანოს წევრებს აქვთ განსხვავებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, უნდა მიეთითოს თითოეული წევრის უფლებამოსილება.

<u>ერთპიროვნული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება</u>

*** სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის (ელექტრონულ მისამართის) მართვაზე პასუხისმგებელი ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე პირი**

რამდენიმე ხელმძღვანელი/წარმომადგენელი პირის არსებობის შემთხვევაში უნდა მიეთითოს მხოლოდ ერთი პირი

<u>დირექტორი - ქეთევან დარსაძე, პირადი ნომერი: 01010019286, საცხოვრებელი ადგილის მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ჟიული შარტავას ქუჩა, N 6, ბინა 74 (ყოფ. ანაგის ქ.)</u>

*** სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის (ელექტრონულ მისამართის) მართვაზე პასუხისმგებელი ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე პირის ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი**

kdarsadze@alpha-express.ge

(ელექტრონული ფოსტის მისამართი, განსაზღვრული უნდა იყოს ლათინული შრიფტით)

+ 995 599 782 577

(საქართველოში მოქმედი მობილური ოპერატორის მობილური ტელეფონის ნომერი)

სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭოს **<u>არსებობის შემთხვევაში</u>** უნდა მიეთითოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობა და საბჭოს წევრები

სამეთვალყურეოს საბჭო შედგება 4 (ოთხი) **წევრისგან**

(რაოდენობა)

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები

ფიზიკური პირის შემთხვევაში სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, იურიდიული პირის შემთხვევაში სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი; უფლებამოსილების ვადა, თუ ასეთი ვადა განსაზღვრულია.

1. ირაკლი მაჭავარიანი, პირადი ნომერი: 38001001109, საცხოვრებელი ადგილის მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ფერდინანდ თავაძის ქუჩა, N 3, ბინა 160.

2. თეა გვარამია, პირადი ნომერი: 01024028232, საცხოვრებელი ადგილის მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, პეკინის გამზირი, N 21, ბინა 105.

3. ნიკოლოზი შეყილაძე, პირადი ნომერი: 01017030585, საცხოვრებელი ადგილის მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, პავლე ინგოროყვას ქუჩა, N 6, ფართი 3.

4. ანა თოდუა, პირადი ნომერი: 01024034600, საცხოვრებელი ადგილის მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ტიციან ტაბიძის ქუჩა, N 86, ბინა 7.

არსებობის შემთხვევაში გენერალური სავაჭრო წარმომადგენელი/პროკურისტი

ფიზიკური პირის შემთხვევაში სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, იურიდიული პირის შემთხვევაში სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი, ასევე უფლებამოსილების ვადა, თუ ასეთი ვადა განსაზღვრულია.

.....

კაპიტალი

ნებადართული კაპიტალი შეადგენს 5,000,000 (ხუთი მილიონი) ლარს

(კაპიტალის მაქსიმალური ოდენობა, რომლის ფარგლებშიც სს-ს შეუძლია მომავალში მიიღოს წილების განთავსების გადაწყვეტილება) - არსებობის შემთხვევაში

***განთავსებული კაპიტალი შეადგენს 3,320,000 (სამი მილიონ სამას ოცი ათასი) ლარს**

(განთავსებული კაპიტალი არის სამეწარმეო საზოგადოების მიერ განსაზღვრული ფულადი ოდენობა, რომელიც უნდა იყოს სამეწარმეო საზოგადოების განთავსებული აქციების ნომინალური ღირებულებათა ჯამის ტოლი. სააქციო საზოგადოების განთავსებული კაპიტალის მინიმალური ოდენობა სააქციო საზოგადოების რეგისტრაციის მომენტისთვის უნდა შეადგენდეს სულ მცირე 100 000 ლარს.)

***განაღდებული კაპიტალი შეადგენს 3,320,000 (სამი მილიონ სამას ოცი ათასი) ლარს**

(სააქციო საზოგადოების დაფუძნების მომენტისთვის განთავსებული კაპიტალის განაღდებული ნაწილის ოდენობა, ანუ განთავსებული კაპიტალის ფაქტობრივად შევსებული ნაწილი. განაღდებული კაპიტალი ფულადი სახით უნდა იყოს შევსებული და იგი უნდა შეადგენდეს განთავსებული კაპიტალის სულ მცირე 25%-ს)

ნებადართული კაპიტალის არსებობის შემთხვევაში, აქციების ნომინალური ღირებულება არის 100 (ასი) ლარი.

არსებობის შემთხვევაში აქციათა კლასი

ჩვეულებრივი კლასი
(კლასის დასახელება)
..... კლასი
(კლასის დასახელება)

არსებობის შემთხვევაში დაფუძნების მომენტისთვის ნომინალური ღირებულების მქონე განთავსებული აქციების რაოდენობა და მათი ნომინალური ღირებულება

აღნიშნული ინფორმაცია უნდა მიეთითოს თითოეული კლასის აქციასთან მიმართებით, თუ განსხვავებული კლასის აქცია არსებობს. გამოხატული უნდა იყოს მთელი რიცხვით

- [1]დაფუძნების მომენტისთვის ნომინალური ღირებულების მქონე განთავსებული აქციების რაოდენობა არის ..... ერთეული და 1 აქციის ნომინალური ღირებულებაა ------ ლარი

აქციათა კლასების არსებობის შემთხვევაში

- ნომინალური ღირებულების მქონე ჩვეულებრივი[2] კლასის განთავსებული აქციების რაოდენობა არის 33200 (ოცდაცამეტი ათას ორასი) ერთეული, ხოლო 1 აქციის ნომინალური ღირებულებაა 100 (ასი) ლარი.

ნომინალური ღირებულების გარეშე განთავსებული აქციების ოდენობა

აღნიშნული ველის შევსება სავალდებულოა იმ შემთხვევაში თუ საზოგადოებას დაფუძნების მომენტისთვის ნომინალური ღირებულების მქონე განთავსებული აქციები არ აქვს. აღნიშნული ინფორმაცია უნდა მიეთითოს თითოეული კლასის აქციასთან მიმართებით, თუ განსხვავებული კლასის აქცია არსებობს. გამოხატული უნდა იყოს მთელი რიცხვით

- [3]ნომინალური ღირებულების გარეშე განთავსებული აქციების ოდენობა არის ------ ერთეული

აქციათა კლასების არსებობის შემთხვევაში

- ნომინალური ღირებულების გარეშე ..... კლასის განთავსებული აქციების რაოდენობა შეადგენს..... ერთეულს

---

[1] აღნიშნული ინფორმაცია ივსება მხლოდ იმ შემთხვევაში თუ აქციას კლასი არ აქვს
[2] უნდა მიეთითოს კლასის დასახელება
[3] აღნიშნული ინფორმაცია ივსება მხლოდ იმ შემთხვევაში თუ აქციას კლასი არ აქვს

- ნომინალური ღირებულების გარეშე ..... კლასის განთავსებული აქციების რაოდენობა შეადგენს..... ერთეულს

*** არაფულადი შენატანის სანაცვლოდ გამოშვებული აქციების ნომინალური ღირებულება, ხოლო, ნომინალური ღირებულების გარეშე გამოშვებული აქციების შემთხვევაში, მათი რაოდენობა, შენატანის სახე და შენატანზე ვალდებული პირის სახელი/სახელწოდება**

აღნიშნული ველის შევსება სავალდებულოა იმ შემთხვევაში თუ სააქციო საზოგადოებას წესდებით არაფულადი შენატანის განხორციელება არ არის აკრძალული.

ასეთი არ არსებობს

*** დაფუძნებასთან, აგრეთვე ლიცენზიის/ნებართვის მოპოვებასთან დაკავშირებულ იმ არსებული ან სავარაუდო ხარჯები, რომლებიც უნდა გაიღოს სააქციო საზოგადოებამ**

შეადგენს 0 ლარს

*** დაფუძნების, აგრეთვე ლიცენზიის/ნებართვის მოპოვებასთან დაკავშირებული მოქმედებების განხორციელებაში პროცესში მონაწილე პირთა მიერ სააქციო საზოგადოებისგან მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებელი**

შეადგენს 0 ლარს

დანართი:

დამფუძნებლების/პარტნიორების მიერ შემუშავებული სამეწარმეო საზოგადოების წესდება, რომელიც წარმოადგენს სადამფუძნებლო შეთანხმების ნაწილს.

ქეთევან დარსაძე / /

უფლებამოსილი პირი

დირექტორი

თარიღი: ----------